პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კვირა, 28 სექტემბერი 1924 წ. | ყოველდღიური | ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 610 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა — სახელე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ნერვონეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## შვებულებაში მიმავალო წითელ-არმიელო! გახსოვდეს, რომ სოფლად გასაკეთებელი ბევრია, გამკეთებელი კი ცოტა.

მიხვალ თუ არა დატრიალდი, როგორც ჯარა, დაეხმარე მშრომელ გლეხობას საქმეების მოწესრიგებაში, იზრუნე კოოპერატივებზე, სკოლებზე, საავათმყოფოებზე.

## შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელებს.

ამ დღეებში ჩვენი წითელ არმიელების ნაწილი უვადო შვებულებაში იქნებიან დათხოვილნი.

მათ გაუთავდათ ის ვადა, რომელიც დაწესებული იყო ჯარის რიგებში ყოფნისათვის.

მაგრამ უვადო შვებულება არ ნიშნავს სრული კავშირის გაწყვეტას წითელ ყაზარმასთან. პირიქით აწი უფრო მეტი ყურადღება არის საჭირო წითელ აღმზრდელ ყაზარმებისადმი.

ბევრი მოვიდა ჩვენთან სრულიად მოუმზადებელი და წერა-კითხვის უცოდინარი.

მოსვლის დღისვე ჩვენ ავიყვანეთ ისინი აღრიცხვაზე და ყოველ მხრივ ვეცადეთ გაგვეთვითცნობიერებია. შევასწავლეთ წერა-კითხვა, პოლიტიკური ანბანი. თვითეული წითელ არმიელი პრაქტიკულად გაეცნო თეატრების, კინოების, კლუბების, სკოლების და სხვა დაწესებულებების მოწყობას. თვითეულმა მათგანმა ყოველ დარგში შეისწავლა გაცილებით მეტი, ვინემ ჩვენი სოფლის გლეხობის უმეტესობამ იცის.

ამიტომ თვითეული შვებულებაში მიმავალი ვალდებულია სოფლად მისვლისთანავე დატრიალდეს, როგორც ჯარა.

იქ ჯერ ბევრი რამ აკლია.

ბევრგან არ არის სკოლა, საავადმყოფო, კოოპერატივი და სხვა. ბევრმა მიყრუებულ სოფლის კაცმა არ იცის დღევანდელი მდგომარეობა. ის ადგილობრივ მილიციონერის მეტს ვერავის გრძნობს. კარგი იქნება მილიციონერი—კარგია გლეხის თვალში მთავრობა, გლახაა მილიციონერი—გლახაა მთავრობაც. ასე მსჯელობს გლეხი.

ეს სწორი არ არის.

სამწუხაროდ შეიძლება სადმე მილიციონერი არ ვარგიყოს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს მთავრობა არ ვარგაო. მაგრამ ეს არ იცის გლეხმა. ამიტომ საჭიროა მას აუხსნან, განუმარტონ.

განა ამხანაგ სერგო ორჯონიკიძე რომ იყო სოფლად ზოგან არ წააწყდა არა სასურველ განკარგულებებს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ?

რასაკვირველია წააწყდა.

ასეთებს ადგილი ექნება ან გაუგებრობით ან და პირდაპირ ბოროტი განზრახვით. და ყოველივე ამას ძირიან ფესვიანად მოსპობა უნდა.

საჭიროა გამოკეთება.

გამოკეთება კი შეუძლია საქმის მცოდნე პირს.

ასეთ მცოდნეს წარმოადგენს შვებულებაში მიმავალი წითელ-არმიელი.

მას მივეცით ჩვენ ცოდნა. ეს ცოდნა უნდა გამოიყენოს. ხელი შეუწყოს სოფლის აყვავებას.

გარდა ამისა შვებულებაში მყოფი ვალდებულია სათანადო ზომები მიიღოს, რათა მწვევანდელებს მისცეს ახსნა-განმარტება წითელ ჯარში სამსახურზე და წითელ ყაზარმაზე.

ეს პირდაპირი მოვალეობაა მათი.

მაშ ენერგიულ მუშაობისაკენ.

არ გაწყვიტოთ კავშირი წითელ ყაზარმასთან; მოგვწერეთ წერილები სოფლის ავ-კარგზე და თქვენს მუშაობაზე.

# რადიო-დეპეშები.

## ჩინეთის ამბები.

### საფრანგეთის პრესის განმარტება.

საფრანგეთის პრესა გაცხოველებით არჩევს ჩინეთის შემთხვევებს.

გაზეთები ბრალს სდებენ იაპონიას იმაში, რომ ის დახმარებას უწევს ჩჟან-ცზო-ლინს.

ჟენევის კორესპონდენტი გადმოსცემს ხმებს იმის შესახებ, რომ ჩინეთის დელეგაცია ჩივილს აპირებს ერთა ლიგის საბჭოში იმის შესახებ, რომ აჯანყებულთა გამოსვლებს მხარს უჭერს და ეხმარება იაპონია.

გაზეთი აღნიშნავს, რომ თუ ეს გამართლდა ინგლისი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება, ვინაიდან მისი ფლოტი აწვდის სურსათ-სანოვაგეს პეკინის მთავრობის ჯარებს.

## ესპანელების მდგომარეობა მაროკოში.

— მადრიდიდან მიღებულ ოფიციალურ ცნობების თანახმად ესპანეთის ჯარების შეტევა წარმატებით მიმდინარეობს.

— იუწყებიან ორი ტომის აჯანყების შესახებ ელ-არაშის რაიონში.

## პოლონეთი.

### პოლონეთის განაპირა ქვეყნებში. „იმედი აღმოსავლეთზე."

უკრაინის დეპუტატმა ვასილიევსკიმ როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ პოლონეთის ძალთა ცდები, დაამშვიდონ უკრაინის მოსახლეობა გენერლების ვოევოდებად დანიშვნით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. საქმის ასეთი მდგომარეობა აიძულებს პოლონეთის განაპირა კუთხეების მცხოვრებლებს მიაპყრონ თავიანთი იმედები საბჭოთა კავშირისაკენ. ომის შემთხვევაში მოსახლეობისა და ჯარების ნაწილები გადავიდოდა საბჭოთა კავშირის მხარეზე.

### ერთი პარტიზანულ რაზმთაგანი.

ატამან კალიენკის რაზმი, რომელიც თავს დაესხა მატარებელს ლუნიცას ახლოს, შეეფარა პოლონეთის ტყეებს.

პოლონეთის მთავრობამ გაგზავნა პოლიცია და ჯარის ნაწილები რაზმის შესაპყრობად.

## საბჭოთა ფედერაციაში

### დახმარება ლენინგრადის მოსახლეობას.

პირველი გამოანგარიშებით გამოირკვა სასწრაფო დახმარებას მოითხოვს 50.000 მუშის ოჯახი. სათანადო დაწესებულებები უკვე აგზავნიან დახმარებას დაზარალებულთათვის.

### საბჭოთ კავშირის ცაკის მე-11-ტე სესიის გახსნის შესახებ.

საბჭოთა კავშირის ცაკის მე 11-ტე სესია დანიშნულია ქ. მოსკოვში 1924 წლის 15 ოქტომბერს.

## რათ დასჭირდათ საქართველოს აჯანყება.

(კარლ რადეკის წერილიდან.)

რადეკს მოჰყავს „დეილი ტელეგრაფის" ცნობა 18 სექტემბრის თარიღით, სადაც ნათქვამია, რომ აჯანყების მომწყობი შტაბი იყო პარიზში და აჯანყება გამოდგა სუსტი და უდღეური.

რადეკი ხსნის ქართველ მენშევიკების გეგმის ფრჩხილებს და აცხადებს, რომ ამ გეგმაში შედიოდა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების ჩაშლა.

„იმპერიალისტური და სოციალდემოკრატიული პრესა,—ამბობს რადეკი,—გაჰყვირის საქართველოში დაღვრილ სისხლის შესახებ, მაგრამ ეს სისხლი ცოდვად აწვება ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტებს და მე 2-რე ინტერნაციონალის ბატონებს, რომლებსაც სურთ მოხვდენ ერთ ოთახში და ხვდებიან მეორეში.

თავისი რეზოლიუციის დასაბუთების დროს საქართველოს შესახებ ერთა ლიგაში, მეორე ინტერნაციონალის წევრს, ბ-ნ ბონკურს წამოსცდა შემდეგი დამახასიათებელი ფრაზა: „საქართველო აჯანყდა და ჩვენ, (ერთა ლიგა) ვალდებული ვართ უპასუხოთ მას, თუნდაც ჟესტით".

დიაღ, უცხოელ ბელადების მიერ გასულელებულ ქართველ მენშევიკებს ერთა ლიგამ შეიძლება უპასუხოს ჟესტით, მაგრამ ამ ჟესტმა უნდა მისცეს ოქრო საფრანგეთის, ინგლისის ბანკირებს და ქარხნის პატრონებს, ვინაიდან მთელი მათი განგაში საქართველოს გარშემო მიმართულია ერთი მიზნისაკენ.

ინგლისის მუშები მოითხოვენ მთავრობისაგან მიეცეს სესხი საბჭოთა კავშირს. ინგლისის იმპერიალისტური პრესა კი გაჰკივის საბჭოთა კავშირის „მხეცურ მოქმედების" შესახებ საქართველოში და ამით სურთ დააბნიონ ინგლისის მუშები და ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირის სესხს.

აი პასუხი იმაზე თუ რათ დასჭირდათ საქართველოს აჯანყება.

მაგრამ ინგლისის იმპერიალისტური პრესის ბატონი ხელმძღვანელები დაიბნენ თავის ტყუილებში.

ისინი იძულებული არიან იცნონ, რომ საქართველოში იყო არა აჯანყება, არამედ უსუსური გამოსვლები მოწყობილი პარიზიდან.

იმათ ერთობ აღრიანად და აშკარად სთქვეს, რომ ქართული სისხლი მათ დასჭირდათ საბჭოთა კავშირის სესხის ჩასაშლელად.

სიმართლე საქართველოს შესახებ ცხვირში ამოჰკრავს არა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს, არამედ ინგლისის იმპერიალიზმის ხელ-სისხლიან ბანდიტებს, რომლებიც ღვრიან დღეს მზაკვრულ ცრემლს მათი იარაღის მსხვერპლთა საფლავზე.

# პირველი ინტერნაციონალის დაარსების სამოცი წლის თავი ტფილისში.

შაბათს, 27 სექტემბერს დღის 12 საათიდან ყველა დაწესებულებებში შესწყდა მუშაობა.

პირველი საათიდან უკვე დაიწყეს თავ-თავიანთ რაიონებში თავის მოყრა მუშა-მოსამსახურეებმა.

კარგი ამინდი ხელს უწყობდა დემონსტრანტების მხიარულებას.

ქუჩები გაჭედილია ხალხით. ეს დემონსტრაცია გამართული იყო აგრეთვე მეორე ინტერნაციონალის წინაამდეგ.

**პლაკატები.**

პლაკატების და დროშების ტყე— ასეთი არ უნახავს ჯერ ტფილისს. „ძირს კაპიტალის ლაქიები", „ძირს მეორე ინტერნაციონალი", „გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს" და ასეთი. უკვე ჩვეულებრივი პლაკატების გარდა იყო აგრეთვე იუმორისტული პლაკატები.

ჟორდანია, ერიო, მაკდონალდი და ძმანი მათნი კარდონიდან გამოჭრათ და ისე ათამაშებდნენ, რომ შორიდან თვალი ადვილათ [სტყუვდებოდა. იყო ასეთი პლაკატიც „მეორე ინტერნაციონალი ლელვის ფოთოლია, რომელიც ერთა ლიგას ფარავს".

**თავისუფლების მოედანზე.**

თავისუფლების მოედანზე უნდა გაევლო მთელ ამ აურაცხელ მუშა მოსამსახურეთა მასას, რომელიც დღეს ქუჩაში იყო გამოსული 1-ლი ინტერნაციონალის დაარსების სამოც წლის თავის მოსაგონრათ. აქ იდგა ავტომობილი, რომელზედაც დამდგარიყვნენ კომპარტიის ბელადები მათ შორის იყვნენ ამხ. ორჯონიკიძე, შამშე ლეჟავა, გეგეჭკორი და სხვები. ბელადები ესალმებოდენ პროლეტარიატის რაზმებს ცოცხალი ლოზუნგებით და საპასუხოდ ისმოდა მქუხარე ვაშა.

დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე ტფილისის გარნიზონის ნაწილებიც.

**ავტომობილი ბისკვიტით.**

ხალხის ყურადღებას იქცევდა ერთი უცნაური ავტომობილი, რომელზედაც ეწერა: სერ მაკდონალდს კეთილშობილი კრანტისაგან". ავტომობილში იჯდა... კომკავშირელი, რომელიც ზედგამოჭრილი მაკდონალდი იყო. ისე დარბაისლურათ ეჭირა ტფილისელ „მაკდონალდს" თავი, რომ ნამდვილ ლონდონელ პრემიერსა ჰგავდა.

მთელი დემონსტრაცია გადაღებულ იქნა კინო ლენტზე. დემონსტრაციები დასრულდა ოთხ საათზე.

**დ.**

# წყალდიდობა ლენინგრადში.

## მუშაობის აღდგენა.

ქალაქში სწარმოებს გაცხარებული მუშაობა აღდგენის საქმეში.

მოსკოვიდან ჩამოიტანეს 6 ძლიერი ორთქლის და 200 მსუბუქი საქაჩავები მუშათა ჯგუფების თანხლებით.

სთხრიან სპეციალურ არხებს ჩამდგარ წყლის გასაყვანად.

## სრულიად კავშირის ცენტრალური აღმასკომის დადგენილება.

## რსფსრ-ს. ც. კ. აღმასკომის მე-2-ე სესიის გახსნა.

1924 წლის 28 ივლისისა და 25 აგვისტოს დადგენილებათა შესაცვლელად ს. კ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დაინიშნოს ს. კ. ცაკის მე 11-ტე სესიის გახსნის დღედ 1924 წლის 5 ოქტომბერი.

## კომისია.

მოხდა კომისიის სხდომა ლენინგრადის აღდგენის შესახებ. გამოირკვა, რომ გაძლიერებულ მუშაობით შეიძლება აღდგენილ იქნას მიმდინარე სეზონში დანგრეულ შენობათა ერთი მესამედი.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან მოდის დეპეშები გუბ-აღმასკომს დახმარების აღმოჩენის შესახებ.

# რადიო ყოველ მხრიდან

## გამოღვიძების პირველი ნიშანი.

ბელგიის აქტიურ მუშათა პარტიის ჯგუფი შეუდგა ორკვირეული ჟურნალის „კლასოვაია ბარბას" გამოცემას. ეს ჟურნილი აკრიტიკებს პარტიის პოლიტიკას და ილაშქრებს დოუესის გეგმისა და მარტინსის რეზოლიუციის წინაამდეგ, რომელიც საზღვრავს კომუნისტების უფლებებს პროფკავშირებში.

ჟურნალი წარმოადგენს გამოღვიძების პირველ ნიშანს მემარცხენე პარტიის ჯგუფში, რომლის ბელადი ჯერ კიდევ ვანდერველდეა.

## მაროკოში.

## პრიმა-დე-რივერა.

აადრიდიდან მიღებულ ცნობით პრიმა-დე-რივერამ მიიღო სარდლობა 40.000 მეომარზე, რომელიც გაილაშქრებს სამი ხაზით რიფერის წინაამდეგ.

მაროკოდან ესპანეთში მიდის მრავალი დაჭრილი. სენ-სებასტიანოს დიდ კაზინოში გამართულია საავადმყოფო.

## ამერიკა და ევროპა.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დირექტორი ჰასკელი მიემგზავრება ევროპაში რათა გაეცნოს ევროპის პოლიტიკურ გეგმებს და ზოგად პოლიტიკურ მდგომარეობას.

## სომეხ გადახვეწილთა შესახებ.

ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე ბელგიელმა დე-ბრუკერმა აღძრა საკითხი სომხეთის გადახვეწილა შესახებ.

შეტანილი იქნა წინადადება მათი მოწყობის შესახებ კავკასიაში ან სხვა რომელიმე ადგილზე, სადაც უნდა მოწყობილ იქნას მათი კერა.

დე-ბრუკერმა მადლობა გამოუცხადა საბერძნეთის მთავრობას იმ დახმარებისათვის, რომელიც გაუწია მან სომხეთის გადახვეწილებს.

ამ საკითხის შესასწავლად გამოყოფილ იქნება კომისია.

# ჩვენი კორესპონდენტების კიდევ ერთ ნაკლზე.

ჩვენ ხშირად გვიხდება სამხედრო კორესპონდენტებს მოვაგონოთ თავის დანიშნულების შესახებ.

აბა ამაზე მოიწერე, აბა ამაზეო.

ეს საჭირო და აუცილებელია, ვინაიდან კორესპონდენტის მომზადება არც ისე ადვილია, როგორც ეს ზოგიერთს გონია.

კორესპონდენტი უბრალო მანქანა კი არ არის, რასაც დაინახავს აღნუსხოს; საქმე ის არის, რომ კაცმა ნაკლი და ღირსება შენიშნოს და მიზეზებიც გაითვალისწინოს ამ ნაკლღირსების.

რომ საქმე უფრო კარგად იყოს დაყენებული, ჩვენ მოვითხოვთ ნაწილში იყოს, რაც შეიძლება მეტი კორესპონდენტი.

„რაც შეიძლება მეტი" ბადებს ერთნაირ უხერხულობას. ერთსა და იმავე ნაწილში ჩვენ გვყავს რამოდენიმე კორესპონდენტი.

ეს ასეც უნდა იყოს.

ჩვენი თხოვნა და მოწოდებაა კვლავ გააძლიერონ სამხედრო კორესპონდენტთა კადრი.

მაგრამ ეს არ ნიშნავს მას, რომ კორესპოდენტებმა ერთი მეორე არ უნდა იცოდენ. ურთიერთ შორის კავშირი არ ქონდეთ.

სამწუხაროდ ჩვენი კორესპონდენტების უმეტესობა ერთი მეორეს ვერ იცნობენ.

ეს კი არა სასურველი და დაუშვებელია.

რედაქციას ხშირად მოსდის წერილები ერთ და იმავე ნაწილიდან ერთ და იმავ ამბების შესახებ.

ეს იმის მომასწავებელია, რომ კორესპონდენტებს ერთ[ი] მეორეში კავშირი არ აქვთ.

საქმიანობა კი სულ სხვას მოითხოვს. კორესპონდენტებს ერთი მეორეში უნდა ქონდეთ მჭიდრო კავშირი; კვირაში ერთხელ მაინც უნდა იკრიბებოდენ და არჩევდენ საჭირბოროტო საკითხებს.

ასეთ შემთხვევაში აღარ დასჭირდებათ ერთ და იმავე საკითხზე წერა სხვა და სხვა პირს.

ამ რიგად თავიდან ავიცილებთ ზედმეტ შრომას.

რედაქციისათვისაც საჭიროა ეს, ვინაიდან ზედმეტი მასალის გადათვალიერება ტყუილ-უბრალო დროს დაკარგვაა.

ერთი სიტყვით არც ერთი კორესპონდენტი არ უნდა დარჩეს განზე; ყველამ ერთად უნდა იმუშავონ, საერთო ძალით გამოასწორონ ყოველივე ნაკლი და საქმე ამით წინ წავა.

**განიძე.**

# ლიგის კომისია.

ერთა ლიგის კომისიამ (განიარაღების კომისია) დაასრულა ოქმის განხილვა განიარაღებისა და უზრუნველყოფის შესახებ და მიიღო მუხლი, რომელიც აწესებს ეკონომიურ, ფინანსიურსა და სამხედრო სანქციების შემოღებას და აგრეთვე საზღვრავს ანაზღაურების რაოდენობას თავდამსხმელ ქვეყნის მხრიდან.

# კომუნისტების დაპატიმრება ავსტრიაში.

ავსტრიის პოლიციამ დააპატიმრა მრავალი კომუნისტი საერთო გაფიცვების სასარგებლო აგიტაციისათვის ვენაში.

# ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთში.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრული ეს ისეთი ხანა იყო, როდესაც „ნორმალური" კაპიტალიზმი გარდაიქმნა იმპერიალიზმად. მსოფლიო პოლიტიკის თვალსაზრისით ეს, პირველ ყოვლისა, ნიშნავდა იმას, რომ ძლიერი სახელმწიფოები გაშმაგებულად იწყებდენ ახალი ადგილების დაპყრობას და თავიანთ გავლენის გავრცელებას იმ მიზნით, რათა გამოეტანად იქიდან სიმდიდრე და ნედლი მასალა და გაესაღებიათ თავიანთი ნაწარმოები.

ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, იაპონია და გერმანია თითქმის ერთიდაიმავე დროს თავს ესხმიან უმწეო ჩინეთს და „მშვიდობიანი" საშვალებით გლეჯენ მას მსუქან ლუკმას. იჯარის, კონცესიის, ფარულ და აშკარა ანექსიის სახით იწყება ჩინეთის ფაქტიურად დაყოფას.

ჩინეთის მოწინავე ელემენტებმა განიზრახეს ქვეყნის დახსნა მსოფლიო მტაცებლებისაგან. ამ მიზნით ისინი აარსებენ საზოგადოებას „ი-ზეტუან-ს (დიდი მუშტი).

1900 წ. საზოგადოება აწყობს ფართე მასების გამოსვლებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ეროვნულ დამოუკიდებლობის დასაცავად.

ამ გამოსვლებს სახელად უწოდეს მოკრივეთა გამოსვლები.

საზოგადოებას ხელმძღვანელობდენ სხვა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების წევრები.

ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ იმყოფებიან ღვთის მფარველობის ქვეშ და უცხოელები მათ ვერაფერს დააკლებენ. მოკრივები სწვამენ ქრისტიანების ეკლესიებს, ხოცავდენ ჩინელების მოსაქცევად წარგზავნილ სამღვდელოებას, რომელიც ძალიან მოხერხებულად ქადაქებდა იმპერიალისტების სასარგებლოდ. პეკინში მოკლეს გერმანიის ელჩი ბარონი კეტლერი და იაპონიის საელჩოს მოხელე სუშიამა.

მოძრაობამ მოიცვა მთელი მხარე. ქალაქ პეკინში ელჩების საცხოვრებელ ნაწილს ალყა ქონდა შემორტყმული. ჩინეთის მთავრობის ჯარები გადავიდენ მეამბოხეთა მხარეზე.

პეკინის ასაღებად გაგზავნილი ჯარი ინგლისის ადმირალ სეიმერის ხელმძღვანელობით სასტიკად დამარცხდა.

2 აგვისტოს 1900 წ. პეკინი იქნა აღებული რუსის გენერალ ლინევიჩის მიერ. მეფე თავის ოჯახობით გაიქცა სატახტო ქალაქიდან. ჩინეთი ძლიერი სახელმწიფოების ხელში გადავიდა.

აგვისტოს თვეში 1901 წ. ჩინეთის მთავრობა აიძულეს მიეღო შემდეგი პირობები: 1. გამოსვლების მეთაურთა დასჯა, 2. პეკინის და მთავარი რკინის გზების უცხოეთის ძალების მიერ დაცვა, 3. გაუქმება მთავარი სიმაგრეებისა, 4. გერმანიის დაკმაყოფილება კეტლერის მკვლელობისათვის. ამის გარდა ჩინეთს დაადვეს ისეთი გადასახადი, რის გადახდა დღემდიც ვერ მოუხერხებია.

სხვათაშორის უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირმა ამ გადასახადიდან თავისი წილი მთლიანად გადასცა ჩინეთის მთავრობას კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებისათვის.

23 წლის შემდეგ ჩინეთში კვლავ ჩაღდება ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ბრძოლა უკეთეს პირობებში ხდება, ვინემ მეოცე საუკუნის დასაწყისში იყო.

პირველ ყოვლისა თვითმპყრობელობა,—ეს ერთი მთავარი ფაქტორი ჩინეთის სახელმწიფოს დასუსტებისა—განადგურებულია. ჩინეთი—რესპუბლიკაა. სამხრეთში ძალაუფლება რევოლიუციონურ მთავრობის—სუნ-იატ-სენი ხელშია. ამასთან ეხლამდელი ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ სულ სხვა ლოზუნგით სწარმოებს, ვინემ ეს იყო 23 წლის წინედ. ღვთის იმედი ეხლა არავის აქვს. ეხლამდელი ჩინეთის მებრძოლი საზოგადოება თავის იმედს ამყარებს რევოლიუციონურად განწყობილ მასის მოძრაობაზე და საერთაშორისო პროლეტარიატზე.

მოკრივეთა გამოსვლები ჩაქრობილი იყო უცხოელ ჯარების მიერ რუსეთის მეფის გენერლის ხელმძღვანელობით. ეხლა კი რეაქციის მთავარი სულის ჩამდგმელი ნიკოლოზის რუსეთი არ არსებობს. თუ ჩრდილოეთიდან მივა ჩინეთში ჯარის კაცი, ის მივა ჩინეთის ხალხთან ძმური დახმარების გასაწევად და არა იმპერიალიზმის გასამაგრებლად.

ეხლა თავის გასანთავისუფლებლად ბრძოლა ჩინეთის ხალხს უხდება ბრძოლის და რევოლიუციის ეპოქაში, მსოფლიო იმპერიალიზმის სიკვდილის ეპოქაში. და რითაც არ უნდა დამთავრდეს ეს ბრძოლა, დასასრული კი ერთი იქნება: იმპერიალიზმი განდევნილი იქნება ჩინეთიდან და ოთხასი მილიონიანი ჩინეთის ხალხი განთავისუფლებული.

შესაძლებელია ამ ამოცანის გადაჭრა მოხდეს საერთოდ საერთაშორისო და კერძოთ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დახმარებით.

სუყველგან, სადაც კი ურტყამენ იმპერიალისტებს, აკეთებენ მშრომელთა საქმეს. ბრძოლა ჩინეთის ხალხის—ჩვენი საერთო ბრძოლისა ნაწილია. ჩინეთის მშრომელ ხალხის გამარჯვება—ჩვენი საერთო გამარჯვებაა.

ამიტომ საბჭოთა კავშირის მშრომელები უნდა შეერთდენ ჩინეთის მახრჩობელ იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

**ზ. ვ.**




## საჩუქარი მე-3-ე ლეგიონს.

ბანდიტ-ავანტიურისტების წინააღმდეგ ენერგიულად მოქმედებისათვის პირველი დივიზიის მესამე ტერ ლეგიონი 500 ფუთი ვაშლით დაასაჩუქრა გორის საგანგებო კომისიის სამეულმა.

მესამე ლეგიონის მთელი შემადგენლობა სიხარულით ეგებება ამ მოვლენას.

ლეგიონი იამაყებს ამ საჩუქრით და განსაკუთრებით მით, რომ მას ღირსეულად შეუსრულებია მშრომელი ხალხისა და საბჭოთა ხელისუფლების დაცვაში თავისი მოვალეობა.

ვფიცავთ, ყოველ წუთს მზად ვიქნეთ, თუ კი საბჭოთა ხელისუფლებას საიდანმე საშიშროება მოადგება და ერთხელ კიდევ საქვეყნოთ დოვამტკიცოთ ჩვენი ერთგულება.

ამხანაგების მიერ მოძღვნილ საჩუქარს ლეგიონი მოახმარს წითელარმიელებისა და სოფლის გლეხობის კულტურულად განვითარების საქმეს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში და მის ენერგიულ მუშაკებს.

ლეგიონერი

## მეექვსე ლეგიონი ბანდიტების წინააღმდეგ.

მეექვსე ლეგიონი ჯერ კიდევ არ შევსებულა. ჩვენი ძალები არც ისე ძლიერია თავისი მცირე რიცხოვანობის გამო, მაგრამ მენშევიკების ავანტიურისტული გამოსვლების დროს ჩვენმა ლეგიონმა ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა.

2 და 3 სექტემბერს მეექვსე ლეგიონმა სასტიკად დაამარცხა მთელი ბაღდათის რაიონში ბანდიტები, რომლებსაც მეთაურობდენ ყოფილი თავადები და აზნაურები: ერისთავები, ბაქრაძეები და სხვა.

მეექვსე ლეგიონის მთელი შემადგენლობა მოხარულია, რომ მასაც მიეცა საშვალება თავისი წვლილი შეეტანა მშრომელი ხალხის დაცვის საქმეში, ათასგვარ კონტრევოლიუციონური შავი ძალების წინააღმდეგ.

ვიძლევით წითელი მხედრის პატიოსან სიტყვას, რომ მომავალშიც თუ კი მოგვიწოდებს ჩვენი მუშურგლეხური მთავრობა მტრის წინააღმდეგ, როგორც ერთი კაცი მზად ვიქნებით უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვემსახუროთ მშრომელთა განთავისუფლების საქმეს.

ჩვენ გმირულად დავხვდებით საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტრებს.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

ვ. ღლონტი.

## ცხენოსანი ლეგიონი მუშაობს.

მენშევიკური გამოსვლების დღიდან ქართულ ცხენოსან ლეგიონის უფ-პოლიტშემადგენლობა და წითელ არმიელები მამაცურად დგანან თავიანთ საგუშაგოზე და ენერგიულად აწარმოებდენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფების მტრების წინააღმდეგ.

მაგალითად ჩოლოყაშვილის ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლის დროს წითელ არმიელებს დაუჭრეს მეთაური, მაგრამ ისინი მაინც არ დაბნეულან, არ შემდრკალან და ჩვეულებრივი თავდაჭერილობით განაგრძნობდენ მოქმედებას, ცხრა კაცი ასის წინააღმდეგ.

რამოდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ ისინი ტყვედ ჩაიგდეს ბანდიტებმა, მაგრამ მათ აქაც ნახეს გამოსავალი: მოატყუილეს ბანდიტები. მათზე არ გასჭრა სხვა და სხვა დაპირებებმა. ბოლოს ბანდიტები თურმე დათანხმდენ მათ გაშვებას თუ ისინი არ დაბრუნდებოდენ ნაწილში, არამედ წავიდოდენ თავთავიანთ სოფლებში.

წ. არმიელები განთავისუფლდენ თუ არა მტარვალების ბრჭყალებიდან მოაშურეს ჩვენს ლეგიონს

ტყვეთ ჩავარდნილთა შორის იყო ერთი პარტიული, რომელიც არა თუ გაუცა უპარტიო წითელ-არმიელებს, არამედ ყოველ გვარი ზომები მიეღოთ, რომ არ გამჟღავნებულიყო მისი პარტიულობა.

განსაკუთრებით ძლიერ აღელვებდათ არმიელებს ის გარემოება, რომ თურმე ბანდიტები ტყეში საქართველოს მთავრობის მინისტრის ტიტულით იხსენიებდენ ნოე რამიშვილს.

ამ ჟამად წითელ არმიელები სრულიად არ ფიქრობენ შვებულებაში გაშვების შესახებ. ყველა გაიძახის, რომ ჯერ მშრომელი ხალხის მშვიდობიანური ცხოვრება უნდა უზრუნველვყოთო.

**ჩვენი მუშაობა სოფლებში.**

ამავე დროს ცხენოსანი ლეგიონი ენერგიულად მუშაობს სოფლის გლეხობის კულტურულად განვითარების ფრონტზე.

გარე კახეთის სხვა და სხვა სოფლებში ვატარებთ კომპანიებს „მენშევიკური ავანტიურის“ შესახებ.

კომპანიებს კარგი შედეგები მოაქვს; ბანდიტების მიერ მოტყუილებული ტყეებში გახიზნული გლეხები ბრუნდებიან უკან და პატიებას სთხოვენ ადგილობრივ ხელისუფლებას.

ამ ნიადაგზე ადგილი ქონდა ერთ საყურადღებო მოვლენას.

ერთ დღეს 15 კაცი გამოცხადდა ერთ სოფელში თავისი იარაღით და თან ხელებ გაკრული ჩააბარეს ხელისუფლებას მათი მომტყუებელი და ხელმძღვანელი ვანო ხოჩიტაშვილი.

სოფლებში კომპანიების ჩასატარებლად ლეგიონიდან იგზავნებიან როგორც უფ-პოლიტშემადგენლობიდან აგრეთვე წითელ არმიელებიც.

ყველა სოფლებში დიდი სიხარულით და პატივისცემით ეგებებიან ჩვენს ამხანაგებს.

ცისპირელი.

## მესამე ტერლეგიონის ცხოვრებიდან.

ჩვენი ლეგიონი ამ ჟამად შეუდგა ნორმალურ ცხოვრებას.

ყოველგვარი მუშაობა ჩვენთან ძლიერ გამოფხიზლდა, როგორც პოლიტიკური ხასიათის, ისე სამხედრო მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს.

პოლიტიკური მეცადინეობის დროს ჩვენი პოლიტხელების ყურადღების ცენტრი გადატანილი იყო მენშევიკებსა და მათ ბანდიტურ გამოსვლებისაკენ.

საუბრებში საკმაოდ იქნა განმარტებული მენშევიზმის იდეიურად გაკოტრება და მენშევიკების რეაქციონერთა ბანაკში გადავარდნა.

სამწყობრო მეცადინეობა და სამხედრო წესდების შესწავლა კარგად მიმდინარეობს. ყოველ დილაობით სწარმოებს ნიშანში სროლა, წითელი არმიელები დიდი გულმოდგინებით ეკიდებიან ამ საქმეს და კარგ უნარსაც იჩენენ.

— ხშირია ერთმანეთისადმი შეჯიბრი სროლის დროს, რაც დიდ სიხალისეს იწვევს.

— ეჰა დედასა სამჯერ გავარტყი ნიშანში აი—გაიძახის ერთი.

— ბიჭოდა სამი რა არის მეც ოთხჯერ ჩავაჯინე შიგ შუა გულში ტყვია.

— ერთ ტყვიას ტყვილა არ დავკარგავ საბჭოთა ხელისუფლების დაცვის დროს. ტყვია გავისროლო და ნიშანს ასცდეს?!

— ერიჰა, ეს ისე გაიძახის თითქოს მაროლიაც არ დაეცილებიოს. ბიჭო, პირველად შენ არ იყავი, რომ ათში ერთს ძლივს მოარტყამდი? ეუბნება ერთი მეორეს, რომელიც დღევანდელ სროლის დროს ცოტა დამარცხდა და მორცხვობს.

— მერე რა, შვილოსა, აკი მეც ვამბობ, რომ პირველად კარგად ვერ ვისროდი, მაგრამ ეხლა ვისწავლე და ტყვიას არ დავკარგავ ფუჭად.

ხშირად გაიგონებთ ასეთ შებაასებას არმიელებს შორის.

ვინც დამარცხდა ნიშანში სროლის დროს, მორცხვად, გულმოდგინეთ სწმენდავს თოფს, რომ ხვალის სროლის დროს გაიმარჯვოს.

ყველა ძლიერ მონდომებულია კარგი მსროლელი გახდეს.

დ. გაბუნია.

## ალბათ გულგრილობაა...

**(წერილი მეხუთე ლეგიონიდან)**

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დიდი ხანია გამოქვეყნებული იყო ცნობა ამხ. ბუაჩიძის წითელ-არმიელთათვის „ვენერიული ავათმყოფობანი“ წიგნაკის დაბეჭდვის შესახებ.

ამ ხნის განმავლობაში წითელ-არმიელები დღითი დღე მოველოდით ჩვენი ლეგიონის ბიბლიოთეკაში ხსენებულ წიგნაკს, რომლის შინაარსის გაცნობა ძალიან გვაინტერესებს. მაგრამ ამ წიგნაკსაც ისეთი ბედი უნდა ეწვიოს ალბათ, როგორც სხვა გამოცემებს: დაგვიანდება ან სულ არ გამოგზავნა...

ვეკითხებით სათანადო უწყებას გვაცნობოს გარკვეულად, თუ რაშია საქმე...

მატიანე.

## შეისწავლეთ სამხედრო ქიმია.

**მდოგვის (გარჩიცის) აირი.**

მდოგვის აირზე ჩვენ წინა წერილში გვქონდა საუბარი. მდოგვის აირით მოწამლულ ჰაერის გამოსაცნობად ხმარობენ პატარა ბუშტებს ან ყვითელი ფერით შეღებილ ბადროს.

თუ ასეთ ბუშტებს ან ბადროს მდოგვის აირით მოწამლულ ჰაერში გააჩერებთ ან მას სითხეს შეახებთ, მაშინვე ბუშტებს ან ბადროს ფერი ეცვლებათ, ყვითლის მაგივრად ხდება წითელ ფერისა.

ომის დროს ასეთი ხელსაწყო აუცილებლად საჭიროა, რადგან მდოგვის აირის მცირე ნაწილით მოწამლული ჰაერის სუნით გამოცნობა ძალიან ძნელია, ამავე დროს კი მდოგვის აირის ერთი ნაწილი შერეული ჰაერის თოთხმეტი მილიონ ნაწილში უკვე სწამლავს ადამიანს.

მდოგვის და საერთოდ ყველა წყლულის გამჩენი აირების წინააღმდეგ გამოგონილია სხვა და სხვა თავდასაცავი საშუალებანი და მასთან განსაკუთრებული ტანსაცმელი, რომლებიც არ უშვებენ აირს ადამიანის სხეულში. ასეთი თავდასაცავი საშუალებანი გამოგონილია აგრეთვე პირუტყვებისათვისაც.

უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვეულებრივი ტანსაცმელი აირისაგან ვერ იცავს ადამიანს.

სამხედრო საქმეთა მცოდნე პირების მიერ მდოგვის აირი ცნობილია საშინელ სამხედრო აირათ.

პირველად ის იყო ხმარებაში შემოღებული 1917 წ., ამავე დროს კი ის აღმოჩენილია სამოც და ათი წლის წინედ.

არის მეორე, პირველზე უფრო ძლიერი, წყლულის გამჩენი აირი „ლიუისიტი“.

ეს გამოგონილია ფრანგ ლიუსის მიერ, რისთვისაც ამ აირს უწოდეს მისი სახელი.

„ლიუისიტი“ ან ქლორ-ვინილდი-ქლორ-არსინ უფერული სითხეა. ამ აირის მოქმედება ადამიანზე და პირუტყვზე უფრო ძლიერია, ვინემ მდოგვის აირის მოქმედება. ეს აირი უჩენს ადამიანს არა მარტო წყლულებს, არამედ კიდევაც კლავს.

ომში ის ჯერ არ უხმარიათ. მისი თვისება ჯერ-ჯერობით ცუდათაა შესწავლილი, მაგრამ მიუხედავად ამისა ის ითვლება ბრძოლის საუკეთესო საშუალებათ.

„ლიუისიტ“-ს ამზადებენ ქლორისაგან, გოგირდისაგან და აცეტილენის აირისაგან.

## სპეც-ნაწილები უვადო შვებულებაში.

1901 წ. დაბადებულების საერთო განთავისუფლება მოხდა მაისში, მაგრამ ეს განთავისუფლება არ შეხებია სპეციალურ ნაწილებს, როგორიც არის ცხენოსანი ნაწილი, საკავშირო და მესანგრე ასეულები. ამ ნაწილების ზოგიერთი წითელ მოლაშქრეები, დაღონდენ რომ რჩებოდენ ნაწილებში, რადგან მათთან მოსულები, მათზე უფრო ადრე, შორდებიან წითელ ყაზარმებს.

ეხლა კი მოაწია მათი განთავისუფლების დროც, და დღეს ისინი შორდებიან თავიანთ საყვარელ წითელ ყაზარმას, სადაც მათ დაყვენ წელიწად ნახევარი. ის ეთხოვება თავის საყვარელ ლენინის კუთხეს, სადაც ის ყოველ დღე შეექცეოდა გაზეთის კითხვას, უსმენდა საუბრებს და პოლიტ-საათებს. წლინახევრის განმავლობაში ბევრი რამე შეისწავლა სამხედრო დარგში, აგრეთვე მოემზადა პოლიტიკურადაც და ეხლა- როდესაც ასეთი მომზადებული წითელ მოლაშქრე თავისუფლდება და მიდის თავის სოფელში, იქ ის ბევრ რამეს გაკეთებას შესძლებს.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს სოფლებში კულტურული მუშაობა არ არის რიგზე მოწყობილი და თუ არის რაიმე გაკეთებული მას უსათუოდ რაიმე ნაკლი ექნება, რომელსაც დასჭირდება ხელმძღვანელობა. ჩვენი წითელი მოლაშქრე მიჩვეულია ყოველ დღე გაზეთების კითხვას ლენინის კუთხეში, მას აქვს ნაწილში კედლის გაზეთი, სადაც თვითონ ათავსებს კორესპონდენციებს. ასეთი ლენინის კუთხეების და კედლის გაზეთების სოფლებში უქონლობა დიდათ დააქვეითებს მის პოლიტიკურ განვითარებას. ამავე დროს ჩვენს სპეც-ნაწილებში, როგორც არის მესანგრე ასეული, წითელ მოლაშქრეს ბევრი რამ აქვს შესწავლილი, რომელიც ძლიერ გამოადგება სოფელს.

მესანგრემ კარგათ იცის გზების კეთება, არხების გაყვანა და ხიდიბოგირების გაშენება, რომელიც დიდათ სჭირდება სოფელს და ჩვენს მესანგრეს შეუძლია ეს შეძენილი ცოდნა გამოიყენოს სოფლისათვის. არა ნაკლების გაკეთება შეუძლია საკავშიროელს. საკავშიროში მომუშავე წ. არმიელმა იცის ფოჩტის და ტელეგრაფის მნიშვნელობა ხალხისათვის და მასაც შეუძლია ერთგვარი დახმარება გაუწიოს ფოსტა-ტელეგრაფის საჭიროებას პროპაგანდა-აგიტაციით. სადაც კი არის ფოსტა-ტელეგრაფი იქ შეუძლია თავის გამოცდილებით და ცოდნით დაეხმაროს მას.

მესამე დარგი სპეც-ნაწილის არის ცხენოსანი, სადაც წ. მოლაშქრე სწავლობს ცხენის მოვლას და მისი სარგებლობის მნიშვნელობას მეურნეობაში. გარდა ყველა ამისა, ყოველმა ჩვენმა წ-მოლაშქრემ კარგათ იცის საბჭოთა მთავრობის მშენებლობა და მისი მოქმედება მუშების და გლეხების მიმართ. ჩვენ სოფლათ მრავალი საზოგადო ორგანიზაციები გვაქვს, რომელსაც სჭირდებ ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა.

მაგალითად, როგორც არის კოოპერატივები, გლეხკომები, საავადმყოფოები და სკოლები. ყველა ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენმა წ. მოლაშქრეებმა, რადგანაც იგინმა კარგათ იციან ამ სახალხო ორგანოების დანიშნულება.

ამხენაგებო წ-მოლაშქრეებო! თქვენ როგორც ზევით აღვნიშნე ბევრი რამე შეიძინეთ ამ წლინახევრის განმავლობაში და თქვენს პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ყოველივე ის, რაც შეძენილი გაქვთ მოახმაროთ თქვენს მეგობარ გლეხებს. ამას გავალებს თქვენ-თქვენი მუშურ გლეხური მთავრობა. ამას გარდა, თქვენი ვალია არ გაწყვიტოთ სულიერი კავშირი თქვენს ყოფილ წითელ ყაზარმებთან. იყავით მხნეთ და გახსოვდეთ წ. არმიის დანიშნულება საერთაშორისო რევოლიუციონური მუშათა კლასის მიმართ.

ს. ლ.

## ტანვარჯიშობა ჩვენს ჯარში.

ამანათ-რბენი. წითელმა ლაშქარმა უნდა მოუმზადოს რესპუბლიკას რაც შეიძლება მეტად ღონიერი, ჯანსაღი, მოქნილი და სხარტი მეომარი.

ტანვარჯიშობას შეუძლიან ბევ-

რათ შეეშველოს სამხედრო წვრთნას ყველა თვისებების გამოჰქედვაში. მეტადრე მოუხეშევობის ასაცილებლად კარგია ტანვარჯიშულ თამაშობათა გამოყენება, იმიტომ რომ ეს თამაშობა არ იქნება მისთვის ძალდატანებითი, რადგან წ. არმიელი თვითონ სიამოვნებით მიიღებს მასში მონაწილეობას, მაშასადამე შედეგიც შეუდარებლათ ადრე იჩენს თავს. გარდა ამისა წ. არმიელი უნდა ყოველთვის გრძნობდეს, რომ ის ერთეულის შემადგენლობის წევრია, ის შეჩვეული უნდა იყოს საერთო საქმის შეგნებას, ამხანაგობის გრძნობას და სხვა. ყველა ამის გამომუშავება შეუძლიან ტანვარჯიშულ თამაშობას. ერთ-ერთ მარტივ ნაწილს ამ თამაშობისა შეადგენს ამანათრბენი (ესტაფეტა).

ყოველ ამანათრბენაში მონაწილეობის მიღება შეუძლიან 20—60 კაცამდე. თვით ამანათათ შეიძლება იყვეს ალამი ჯოხი, ბურთი, ბირთვი ან ქუდი და სხვა მაგისთანა.

უბრალო ამანათ-რბენი იქნება ასეთი: ორი მწკრივი (ერთი მეორეს ეჯიბრება) დადგება ერთ ხაზზე, სჯობია ყოველი მწკრივი ზურგში იდგეს. პირველები იწყებენ რბენას დანიშნულ ბინამდის და უკან, ხელში უჭირავთ ჯოხი ან ალამი. პირველი ორი მივა დანიშნულ ადგილას, დაბრუნდება უკან, გადასცემს წინ მდგომ თავის ამხანაგს ამანათს, თვითონ კი უკან ჩადგება. მოიგებს ის მწკრივი რომელშიც ადრე გაათავებენ ყველანი რბენას. შეიძლება ორივ მწკრივი ორათ გაიყოს და მაშინ მხოლოდ ერთ მანძილის გარბენა დასჭირდება თითოს.

უფრო საინტერესოა ამანათი ქუდით. პირველები გადასცემენ უკან ან ფეხებ ქვეშ, ან თავზე ქუდს; როდესაც ქუდი უკანასკნელამდის მივა, ის დაიჭერს ქუდს მუხლებ შუა და ასე ხტომით მივა დანიშნულ ადგილს მწკრივებ წინ (20—40 ნაბ.) იქიდამ კი ქუდით ხელში გამოიქცევა უკან და გადასცემს ქუდს მწკრივში პირველს, რომელიც დაიწყებს გადაცემას უკან.

მოიგებს ის მწკრივი რომელიც პირველი გაათავებს.

იმავე წესით შეიძლება გაიმართოს ამანათი ბურთით ან ბირთვით. ბურთი გადაეცემა მწკრივში უკან, ხან ფეხებ შუა, ხან თავზე, ხან პირდაპირ ხელში მარცხნივ ან მარჯვნივ, უკანასკნელნი მირბიან დანიშნულ ბინამდე შემდეგ დაბრუნდებიან მწკრივში და გადასცემენ ამანათს. პირველ მწკრივში მეტს ინტერესს გამოიწვევს შემდეგი ამანათი: როდესაც უკანასკნელი მწკრივში მიიღებს ამანათს ის უვლის მარჯვნიდამ წინ მდგომს, მარცხნიდამ შემდეგს, მეორე ისევ მარჯვნიდამ და ასე ბოლომდის სანამ ყველას მოუვლის.

რასაკვირველია, აქ მოთამაშენი უნდა დაშორებულნი იყვენ ერთმანეთისაგან შესაფერ მანძილზე რომ შეიძლებოდეს მათი მოვლა. კუნთების მეტ დაძაგვრისთვის ასეთი ამანათი: მეორე შეაჯდება პირველს ზურგზე, (რასაკვირველია ორივ მწკრივში ცალკე) განკარგვისთანავე ორივ მირბიან ბინაზე იქ მეორები ჩამოხტებიან და მორბიან უკან, შეისვამენ წინ მდგომს და ისევ მირბიან, ასე სანამ ყველას გადაიყვანენ მწკრივიდამ. შეიძლება კიდევ ოთურმით გაიმართოს ამანათი.

დაინიშნება ხაზი რომელსაც უნდა გადასცილდენ ყველა მოთამაშენი.

პირველს გადაახტება მეორე და სამი ნაბიჯით წინ დადგება წინზნექში, შემდეგ მეორე გადაახტება ორივეს და ასე სანამ მთელი მწკრივი ხტომით გავა წრეს.

უფრო რთული ამანათ-რბენი შემდეგია: ოთხი კაცი გავა წინ დადგება ოთხ ნაბიჯზე ერთი მეორისაგან (ორივე მწკრივისთვის ცალკე). პირველი „სმენაზე“; მეორე განბჯურ დგომში, მესამე წინ ზნექში მარჯვენა მუხლზე დიბჯენით და მეოთხეც სმენაზე. მწკრივის პირველი მირბის: მოუვლის ირგვლივ პირველს, მდგომს „სმენაზე“, გაუძვრება მეორეს ფეხებ შუა, გადაახტება მესამეს ზურგზე, მოუვლის მეოთხეს და დაბრუნდება მწკრივის ბოლოს და ჩაარტყამს ზურგში უკანას, ის გადასცემს წინ და ასე სანამ პირველს არ მოხვდება მაშინ ის მირბის წინ შეასრულებს ყველაფერს იმას რაც პირველმა გააკეთა და ასე სანამ ყველა მოირბენს.

კიდევ ბევრი ამანათის აღწერა შეგვიძლიან მაგრამ ესეც საკმარისია ჯერ-ჯერობით. საჭიროა მხოლოთ რომ ვინმემ (ვარჯიშთავმა ან მეთაურებმა) ითავოს და თავისუფალ დროს ჩაატაროს ზემოხსენებული ამანათები.

გიტო.

## მეცნიერება და ტექნიკა

### ახალი საშვალება მდინარის წყლის გაზომვისათვის.

სანამ დაიდგმებოდეს სადმე წყლის ტურბინა ან ბორბალი, მანამდე აუცილებლად საჭიროა გამორკვეული იქნეს წყლის დაცემის სიმაღლე ე. ი. ის სიმაღლე, რომელიც გამოდგება ტურბინისათვის და ამის შემდეგ კი გამორკვეული უნდა იქნეს მდინარის წყლის რაოდენობა განსაზღვრულ მანძილზე წუთში.

ყველაზე უფრო გავრცელებული საშვალებაა ამ მიზნისათვის შემდეგი:

მდინარის ნაპირზე, სიგრძეზე გადაზომავდენ რამოდენიმე საზომ ერთეულ მანძილს, მაგალითად 10 საჟენი, პირველ ნიშანთან ე. ი. გადაზომილ ათი საჟენის დასაწყისში ჩააგდებენ წყალში რამოდენიმე ლივლივებს, რომლებიც მოსცურავდენ მდინარეში და გაივლიდენ მეორე ნიშანთან.

ამავე დროს პირველად გაზომილ ათი საჟენის მანძილზე ლივლივების ცურვის დრო აღინიშნებოდა და ამნაირად იგებდენ მდინარეში წყალის მიმდინარეობის სიჩქარეს განსაზღვრულ მანძილზე და განსაზღვრულ დროში.

შემდეგ გაიგებდენ მდინარის კალაპოტის მოხაზულობას და ამნაირად გამოარკვევდენ მის „გაჭრას-მის მიმდინარეობის არეს.

შემდეგ ამ არეს გადაამრავლებდენ წყლის მიმდინარეობის სიჩქარეზე და ამნაირად მიიღებოდა მოცემულ წუთში მიმდინარე წყლის რაოდენობა.

ამ ჟამად ამერიკული გაზეთები იტყობინებიან, რომ პროფესორ ალეპის აღმოუჩენია მდინარეში მიმდინარე წყლის გაზომვის ახალი საშვალება,

ქიმიაში ცნობილია, რომ წყლის ელექტრო გ მტარობა მით უფრო იზრდება, რაც მეტი მარილებია შიგ გახსნილი.

ელექტრონის ამ თვისებამ ძლიერ შეუწყო ხელი წყლის გაზომვისათვის ახალი საშვალების აღმოჩენას.

როგორც ავღნიშნეთ პირველად წყალში ლივლივებს ჩაყრიდენ, ეხლა მათ მაგიერ ერთ განსაზღვრულ ადგილზე მდინარეში ჩაასხამენ წყალში გახსნილ მარილს. ქვევით კი განსაზღვრულ მანძილზე დასდგამენ ეგრედ წოდებულ ამპერომეტრს.

მდინარეში მთელ სიგანეზე გაშვებულია ელექტრონის ნაკადი და სწორედ ამ ამპერომეტრის საშვალებით იზომება ელექტრონის ჩქერის ძალა.

ჩქერის ძალა ისეა ამ დროს შერჩეული, რომ დაწმენდილი მდინარის წყლის შემთხვევაში ამპერომეტრში არ მოხდეს გადახრა.

ჩაასხამენ თუ არა გაზომილი მანძილის პირველ ნიშანთან (დასაწყისი) მარილიან ხსნარს, მეთვალყურე უყურებს თუ როდის მოხდება ამპერომეტრში ისარის უდიდესი გადახრა და ამის შემდეგ ისევე, როგორც პირველად ხდება მოცემულ რიცხვით სიდიდეების გადამრავლება და ირკვევა მდინარეში მიმავალ წყლის რაოდენობა და მისი სიჩქარე. აი პროფესორ ალეპის ახალი საშვალება, რომელიც მეტად ამარტივებს ამ დიდ მნიშვნელობის საქმეს.

უეჭველია ალეპის ახალი ხერხი დიდ გასავალს ჰპოვებს.

## ამბები სოფლებიდან

### სკოლის გახსნა ზუგდიდში.

განათლების კომისარიატის დადგენილებით ქალ. ზუგდიდში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი. ასეთივე ტეხნიკუმი გაიხსნება ახალციხეშიაც.

### დახმარება ღარიბებს სენაკის მაზრაში.

სენაკის მაზრაში ივნისის, ივლისის და აგვისტოს განმავლობაში გაეწიათ დახმარება ღარიბებს 28 ფუთი სიმინდით, 84 მანეთით ფულათ და 24 მანეთის ტანისამოსით.

### რთველი და სიმინდობა რაჭაში.

ქვემო რაჭაში თითქმის უკვე დასრულდა რთველი და სიმინდობა. სიმინდის მოსავალი ზოგგან საშუალოზე მეტი იყო და ყურძნის კი ყველგან კარგი.

## სამხედრო კორესპონდენტთა საყურადღებოდ!

ტფილისში მდგომ ქართულ ნაწილების პასუხისმგებელ კორესპონდენტთა თათბირი შესდგება ორშაბათს, 29 სექტემბერს, 2 საათზე, წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში.

„წითელი არმიელის“ რედაქცია.

## ახალი ამბები.

— **სამხ.-სამეცნიერო საზოგადოების ყრილობა.** 1-ლ ნოემბრისათვის ქალაქ ტფილისში მოწვეულია კ. წითელ დროშ. არმიის სამხ.-სამეცნიერო საზოგადოების ყრილობა, რომელზედაც დაესწრებიან ეროვნულ არმიათა წარმომადგენლებიც.

— **საქონელი სამხედრო კოოპერატივისათვის.** ქართულ ჯარის სამხედრო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ილ. ებრალიძე გაემგზავრა მოსკოვში სამხედრო კოოპერატივების საჭიროებისათვის საქონლის ჩამოსატანად.

— **სამხ. ტრიბუნალში.** 30 სექტემბერს დანიშნულია გასარჩევად საქმე საავ. ესკადრილიის მნესი გრიგოლ მესხიშვილის, ი. გუბიძის, ბელსკის, ბუხელცევის, ჯალალოვის და ესაიანცის.

— **პოლიტგანყოფილების მიმართვა.** ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილების საგიტაციო განყოფილებამ და დივიზიის სამხედრო-სამეცნიერო ცოდნათა შემსწავლელმა საზოგადოებამ მიმართეს ნაწილებს, რათა გააცხოველონ სამხ.-სამეცნიერო წრეთა მუშაობა.

— **მცხეთის უბნის მიწერა თბილისში.** ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის წინაშე, რათა მცხეთის უბანი მიწერილ იქნეს ტფილისზე ტერიტორიალურათ.

— **საქართველოს წითელი ჯვარი.** საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო პროექტი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საკავშირო წითელი ჯვრის საზოგადოებაში ჩარიცხვის შესახებ და წარუდგინა იგი საბოლოო დასამტკიცებლად საქ. ცაკს.

— **კლასიური გადასახადი და მარტოხელანი.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ მიანიჭა უფლება ადგილობრივ აღმასკომებს, თანახმად პროფკავშირთა შუამდგომლობისა და ფინორგანოებთან შეთანხმებისა, შეუმცირონ მარტოხელებს ე. წ. კლასიური გადასახადი და აგრეთვე სრულიადაც გაანთავისუფლონ ისინი.

— **დანარიცხი სარეწაო გადასახადზე.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ მოახდინა დანაწილება მაზრებს შორის 50 პროც. დანარიცხებისა სარეწაო გადასახადზე, რაიც უდრის 932 604 მანეთს.

— **წერა-კითხვის უცოდინარობა.** მომავალ წელში თფილისში პოლიტ-განათლების მიერ მოწყობილ იქნება 200 წერა-კითხვის სალიკვიდაციო პუნქტი.

— **საერთო განათლების კურსები.** განათლების კომისარიატმა დაადგინა გახსნას ორი სალამოს ტეხნიკუმი. ერთ-ერთ მათგანში სწავლა იქნება სომხურათ.

— **ქალ. ლომბარდში.** 28 სექტემბერს ქალ. ლომბარდში შესდგება დიდი აუქციონი დაუხსნელი ნივთების გასასყიდათ.

— **სეზმან ერთაწმინდელის წიგნი.** გამოვიდა და იყიდება სეზმან ერთაწმინდელის ლექსთა კრებული. წიგნი ძლიერ ლამაზათაა გამოცემული და ღირს ერთი მანეთი.

— **გლეხური ახალგაზრდობის სკოლები და საბავშო სახლები.** ტფ. სახ. განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა გამოსწეროს მოზრდილი მოწაფეები საბავშო სახლებიდან და გადაგზავნონ ისინი ალბულახში გლეხურ ახალგაზ. სკოლებში სწავლის გასაგრძელებლათ.

## შემთხვევები.

— **თავდასხმა სამხედრო კომისარზე.** 26 სექტემბერს დღის 12 საათზე წყნეთის ახლო, მანგლისიდან დაბრუნებულ სამხ. კომისარს ამხ. ყარალოვს თავს დაესხა 2 შეიარაღებული ყაჩაღი და მოუნდომეს გაძარცვა. ამხ ყარალოვმა საპასუხოთ ესროლა რევოლვერიდან. ბანდიტებმა დასჭრეს ამხ. ყარალოვი და მიიმალნენ.

## ჩვენი ფოსტა

**პოლიტ-ხელ გელოვანს.** თქვენი წერილი ამხ. ვალიკო ხავთასის შესახებ არ დაიბეჭდება. მეორეჯერ ნეკროლოგს ვერ მოვათავსებთ. მოიწერეთ ნაწილის ცხოვრებიდან წერილები.

**ამხ. მიშა ჰავჰანიძეს.** თენგიზ ელენტის მოხსენების შესახებ მეორე ლეგიონში უკვე გავიდა ჩვენს გაზეთში. დაბეჭდილი იყო აგრეთვე რეზოლიუციაც. თქვენი წერილი ამის შესახებ არ გავა. მოიწერეთ წერილები თქვენი ნაწილის ცხოვრების შესახებ.

**ამხ. კირმალიძეს.** თქვენი წერილი „მესამე ტერ-ლეგიონი და მენშევიკების ბანდიტების გამოსვლა“ არ დაიბეჭდება. მოიწერეთ სხვა შინაარსის წერილები. მენშევიკურ გამოსვლების დროს მესამე-ტერლეგიონის საქმიანობაზე ბევრჯერ აღინიშნა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

**ამხ. ლ. გაბისონიას.** თქვენი წერილი „მტრის ხმაურობამ გამოგვაფხიზლა“ არ გავა. მესამე ლეგიონზე ამის შესახებ საკმაოდ აღინიშნა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. შ. პანიძეს.** „ჭიათურაში გამოსვლების შესახებ“ არ გავა.

**ამხ. ვ. ბერიძეს.** არც თქვენი წერილი გავა მენშევიკების შესახებ. მოგვაწოდეთ წერილები ნაწილის ცხოვრებიდან.

ნ. დ. ს. ც   ტირაჟი 1.500   სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3.   პასუხ-სმგებელი რედაქტორი—ა. ბუაჩიძე